

ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელები ჩრდილოეთ პორტუგალიაში

ფირცხალავა ეკატერინე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, PhD, ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია ანალიზი მონაცემთა კვლევიდან, რომელიც ეხება საქართველოდან პორტუგალიაში მიგრაციის შემდეგ ახალ სოციალურ გარემოში ქართველების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის შესწავლას. ქართველები ბოლო ოცდახუთი წელია შრომითი მიგრაციისთვის ირჩევენ ევროკავშირის ქვეყნებს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ პროცესის კვლევის შედეგად დასახელებული ქვეყნების ჩამონათვლში პორტუგალია არ არის, როგორც მიგრაციისთვის პოპულარული ქვეყანა, თუმცა იქაც მიგრანტთა საკმაოდ რაოდენობაა. როგორც მიგრაციის მკვლევარები აღნიშნავენ, სოციალური ქსელები გადამწყვეტ როლს თამაშობს, სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასვლის - როგორც მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, ასევე ქვეყნის არჩევის პროცესში და, შესაბამისად, ახალ გარემოში დამკვიდრებისას. მოცემული ნაშრომი არის გარკვეული კვლევა პორტუგალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელებისა. საფუძვლიანი ინტერვიუების დროს მიღებულ მასალებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელების სხვადასხვა ასპექტი; ნაჩვენებია, პორტუგალიის სოციალური ქსელები, როგორც ამ ქვეყნის სამიგრაციოდ არჩევის მიზეზი, გენდერული სხვაობა სოციალური ქსელების არჩევის დროს. ქართველი მიგრანტების სოციალურ ქსელების ისეთი მახასიათებელი, როგორცაა სოლიდარობა და რეციპროკულობა და მიმღები საზოგადოების სოციალური ქსელები.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, სოციალური ქსელები, გენდერი, ეთნიკური და სოციალური სოლიდარობა, პორტუგალია.

შესავალი

ნაშრომში განხილულია ქართველი მიგრანტების ცხოვრება პორტუგალიაში. კვლევის მიზანი იყო პორტუგალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის შესწავლა.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პორტუგალია არ არის დასახელებული ქართველთა მიგრაციისთვის პოპულარულ ადგილთა შორის. ჩემთვის საინტერესო იყო, რა გახდა პორტუგალიის მიგრაციის დანიშნულების ქვეყნად არჩევის მიზეზი და, როგორ მოხვდნენ ქართველი მიგრანტები ევროპის კონტინენტის უკიდურეს დასავლეთში, როგორ მოახერხეს მათ აქ ადაპტაცია და დამკვიდრება. ჩემი აზრით, ამ პროცესში სოციალური ქსელები გადამწყვეტ როლს თამაშობს, ამდენად დავინტერესდი პორტუგალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელების კვლევით და მათში გენდერული სხვაობის არსებობით. კერძოდ კი, რა ტიპის

სოციალურ კავშირებს იყენებენ ქალები და კაცები მიგრაციის პროცესში, როგორია სოლიდარობა და რეციპროკულობა ქართველი მიგრანტების სოციალურ ქსელებში, კვლევის საგანი ასევე არის მიმღები საზოგადოების სოციალური ქსელები.

მიგრაცია და სოციალური ქსელები

მიგრაციის პროცესი ორი ან რამდენიმე სოციალური ჯგუფის უშუალო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია ის, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ ცვლის ერთი სოციალური ჯგუფი მეორეს. სოციალური ჯგუფების ურთიერთობებში ორ მოვლენას განასხვავებენ: - **ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფურ)** და **ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფურ)** ურთიერთობებს. პირველი სოციალური ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობების დინამიკას შეისწავლის, ხოლო მეორე - ორ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის მიმდინარე პროცესებს. მიგრაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია ინტერჯგუფური ურთიერთობების თავისებურებათა შესწავლა.

სამეცნიერო ლიტერატურა მიგრაციის პროცესში სოციალური ქსელების როლს დიდ ყურადღებას აქცევს. მიგრაციის შესახებ კვლევები ძირითადად ოჯახის ან თემის სოციალურ კავშირებზეა ფოკუსირებული, მათი, როგორც შუამავლის როლზე მიგრანტების წარმოშობისა და მიგრაციის დანიშნულების ადგილს (ქვეყანას) შორის.

სოციალური ქსელების თეორიის მიხედვით, მიგრაციის დაწყების შემდეგ, პირველი მიგრანტები ე.წ. პიონერები, თავიანთი წარმოშობის ქვეყნებში მიგრაციის მარშრუტების შემქმნელები და მაკავშირებლები ხდებიან იმ ქვეყანასთან, რომელშიც სამუშაოზე მოწყობის უკეთესი პირობებია. ამ ინფორმაციის გავრცელებით იწყება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მსურველთა მიგრაციული ნაკადის გადინება. პიონერებს ემატებიან ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები. მიგრანტების სოციალური ქსელი ახალ ჩამოსულებს ადგილობრივი საზოგადოების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, ასევე სამსახურისა და საცხოვრებლის შოვნაში ეხმარება (e.g. Massey et al. 1993; Massey et al. 1998; Gurak and Caces 1992; Fawcett 1989; Tsuda 1999; Pellegrino 2004).

სოციალური ქსელის მიგრაციაზე გავლენის შესახებ კვლევის გამოქვეყნების შემდეგ მკვლევარებმა აქტიურად დაიწყეს მასსაისა (Massey et al. 2005) და მისი კოლეგების თეორიის “კუმულატური მიზეზ-შედეგობრივი კავშირის” cumulative causation თეორიის გამოყენება (2005,42), რომლის მიხედვით მიგრაციული ნაკადების ზრდა დაკავშირებულია მიგრანტების სოციალურ ქსელებთან, როგორც ინტერპერსონალურ კავშირებთან, რომლებიც აერთიანებს მიგრანტსა და არა მიგრანტს, როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყანაში. ეს კავშირი არის ნათესაური, მეგობრული ან წარმოშობის ადგილის (თემის) მიხედვით. ”როგორც პადილა (2006) აღნიშნავს, სოციალური ქსელი განისაზღვრება, როგორც პირადი ურთიერთობები, რომლებიც ეფუძნება ოჯახს, მეგობრობას და თემს. (Padilla 2006 citing Hagan 1998 from Boyd 1989:639).

მიგრაციის კვლევებისას სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი მკვლევარი ხაზს უსვამს მიგრანტების ცხოვრებაში სოციალური ქსელის მნიშვნელოვან როლს ((Margolis 1995, Menjivar 1997, Wilson 1998, Hagan 1998, Peixoto 2002, Harwick 2003, Padilla 2004b & 2005b, Padila 2006).

დასახელებული კვლევების მსგავსად ჩვენს კვლევაშიც გამოჩნდა, რომ სოციალური ქსელი ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაში ეხმარება მიგრანტს. ამ ქსელის საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია მიგრაციასთან

დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. სოც.კავშირები აადვილებს გადაწყვეტილების მიღებას მიგრაციის მიმართულებით, ამსუბუქებს სამუშაოს შოვნისა და დასახლების პრობლემებს. ქსელები სხვადასხვა სახისაა, როგორც უკვე აღინიშნა, არის „ეთნიკური ქსელი“ (Hardwick 2003); ნათესაური ქსელი, მეგობრული ქსელი და უფრო ვიწრო - ოჯახური ქსელი. არსებობს პასუხისმგებლობის, შედარებითი დეპრივაციისა და ნდობის (Curran and Saguy 2001) ქსელი. პასუხისმგებლობის ქსელი აკავშირებს ინდივიდებს (მიგრანტსაც და არამიგრანტსაც), შედარებითი დეპრივაცია მიგრანტების მოტივაციაა, ხოლო ნდობის სტრუქტურა ქმნის მიგრანტების სოციალურ კავშირებს. (2001:59)

სოციალური ქსელის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს სოციალური კაპიტალის როლი. სოციალური კაპიტალი განისაზღვრება, როგორც სოციალური კავშირები და ნდობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინდივიდებს ან ინდივიდების ჯგუფებს და შესაძლებელს ხდის მათ შორის თანამშრომლობას საერთო მიზნის მისაღწევად (1995). მიკრო დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი - შიდაჯგუფურ კავშირებს (ოჯახი, სამეგობრო წრე) აღწერს, ჯგუფის შიგნით თანამშრომლობასა და ერთსულოვნებას ავითარებს, ხოლო მაკრო დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი - სოციალურად ჰეტეროგენულ ჯგუფებს ერთმანეთთან აკავშირებს და ამგვარად კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის საკუთარ სივრცეს ქმნის (Putnam 1995, Håkansson, 2009, Baker, 2009).

კვლევის პროცესში სხვა საკითხებთან ერთად შევისწავლეთ სოციალური ქსელების სხვადასხვა ასპექტი. წარმოდგენილ ნაშრომში ამ მიმართულებით გამოვეყავით საკითხები და პასუხები გავეცით შემდეგი კითხვებს:

1. რა იყო პორტუგალიის, როგორც მიგრაციის ქვეყნად არჩევის მიზეზი;
2. როგორია პორტუგალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელები;
3. არის თუ არა სოციალური ქსელების არჩევის დროს გენდერული სხვაობა;
4. ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელების ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: სოლიდარობა, რეციპროკულობა და მიმღები საზოგადოების სოციალური ქსელები.

მეთოდები

მიგრაციის მკვლევარები, რომლებიც მათი მიმართებით საზოგადოებაში ასიმილაციის, აკულტურაციის, ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესებს სწავლობენ, გვიჩვენებენ თვისობრივი მეთოდების გამოყენებას, რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ ის. თუ რას განიცდიან იმიგრანტები ახალ გარემოში ცხოვრებისას (Kim, Atkinson, Wolfe & Hong, 2001), კვლევის პროცესში ვიხელმძღვანელებ მიგრაციის მკვლევარების რჩევით (Kim et al. 2001) და სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით ჩავატარებ თვისობრივი კვლევა. მასში მონაწილეობა მიიღეს პორტუგალიაში მცხოვრებმა ქართველმა მიგრანტებმა. ინტერვიუება ჩატარდა 2015- 2016 წლებში ერასმუს მუნდუსის კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში, მინიუს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე (University of Minho. Braga. Portugal).

სულ ჩატარდა 21 სიღრმისეული ინტერვიუ:

ნახ.1 კვლევაში მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები

N	სქესი	ასაკ ი	განათლება ბა	სამუშაო სტატუსი	ოჯახურ ი მდგ.	ჩამოსვლის თარიღი
1	F	32	უმაღლ	დასაქმებ	F	2008
2	M	39	უმაღლ	დასაქმებ	F	2003
3	M	53	უმაღლ	დასაქმებ	F	2000
4	F	40	უმაღლ	უმუშევარი	F	2003
5	M	34	საშუალო	დასაქმებ	F	2000
6	F	37	უმაღლ	უმუშევარი	F	2004
7	M	61	პროფ	დასაქმებ	S	2000
8	M	33	საშუალო	დასაქმებ	F	2006
9	F	29	საშუალო	უმუშევარი	F	2003
10	M	52	საშუალო	დასაქმებ	F	2000
11	F	46	საშუალო	დასაქმებ	F	2003
12	M	31	საშუალო	დასაქმებ	F	2001
13	F	31	საშუალო	დასაქმებ	F	2001
14	F	57	უმაღლ	უმუშევარი	F	2002
15	M	63	უმაღლ	დასაქმებ	F	2004
16	M	59	პროფ	დასაქმებ	S	2002
17	F	45	საშუალო	დასაქმებ	F	2006
18	M	47	საშუალო	უმუშევარი	F	2002
19	F	46	საშუალო	დასაქმებ	F	2003
20	F	45	საშუალო	დასაქმებ	F	2010
21	F	38	საშუალო	უმუშევარი	F	2015

რესპოდენტთა შესარჩევად გამოვიყენეთ შერჩევის „ თოვლის გუნდის“ მეთოდი. ნაშრომში რესპოდენტთა სახელები შეცვლილია .

ინტერვიუების დროს ყურადღება ფოკუსირებული იყო სხვადასვა საკითხზე: კერძოდ, ადაპტაციისა და ინტეგრაციისთვის იდენტობის სტრატეგიებსა და სოციალურ ქსელებზე, რომელსაც იყენებენ პორტუგალიაში მცხოვრები ქართველები, მოცემულ სტატიაში განხილულია ეს უნასკნელი.

ქართველების მიგრაცია პორტუგალიაში - მოკლე მიმოხილვა.

პორტუგალიის SEF (Foreigners and Frontiers Services) მონაცემებით 2014 წელს პორტუგალიაში 395195 ლეგალური იმიგრანტია. რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტია: - ბრაზილიიდან (87493), კაბო ვერდედან (40.912), უკრაინიდან (37852), რუმინეთიდან (31505) და ჩინეთიდან (21402). ბოლო სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით პორტუგალიაში ლეგალურად 847 ქართველი ემიგრანტია, მათგან 495 მამაკაცი , ხოლო 352 ქალი. ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ 2000-2014 წლებში პორტუგალიაში ქართველი იმიგრანტების მიგრაციის დინამიკა.

ნახ. 2. ქართველი იმიგრანტების პორტუგალიაში მიგრაციის დინამიკა (2000 - 2014) ¹

¹ <http://sefstat.sef.pt/relatorios.aspx>

წელი	მას			ნაკადი		
	მთლიანად	მამკაცი	ქალი	მთლიანად	მამკაცი	ქალი
2014	847	495	352	52	23	29
2013	902	559	343	53	25	28
2012	949	623	326	67	32	35
2011	1.040	684	356	85	40	45
2010	1.098	752	346	101	45	56
2009	1172	841	331			
2008	1128	829	299			
2007	888	655	213			
2006	792	652	140			
2005	29	21	8			
2004	26	19	7			
2003	10	7	3			
2002	7	5	2			
2001	2	1	1			
2000	2	2				

როგორც ცხრილიდან ჩანს, სხვა წლებთან შედარებით, 2006 წელს აქ ყველაზე დიდი რაოდენობის ლეგალური მიგრანტი ჩავიდა. მიგრაციის მკვლევარი პადილა (2006) აღნიშნავს, რომ პორტუგალიაში ლეგალიზაცია ქვეყანაში ჩასვლიდან მინიმუმ 2-3 წლის შემდეგ ხდება და ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ადამიანები პორტუგალიაში უფრო ადრე ჩავიდნენ. (Padilla 2006). მონაცემთა ბაზაში 2000 წელს პორტუგალიის ტერიტორიაზე ლეგალურად მყოფი მხოლოდ 2 ქართველია აღრიცხული, ხოლო დღეს მათი რაოდენობაა 847. არალეგალური მიგრანტების რაოდენობის შესახებ მონაცემები, სამწუაროდ, არ არსებობს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ყველაზე მეტი მიგრანტის დაფიქსირება გამოწვეულია „ევრო 2004-ის“ პერიოდით Euro 2004 (Padila 2006), როდესაც პორტუგალიაში მშენებლობების ბუმი იყო, შენდებოდა გზები, ხიდები, მოედნები, სასტუმროები და რესტორნები. 2010 წელს პორტუგალიაში, კერძოდ კი ლისაბონში, გაიხსნა საქართველოს საელჩო.

მიგრანტთა სოციალური ქსელები

საქართველოში არსებულმა სოციალურმა პირობებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა და უმუშევრად დარჩენილთა ნაწილმა ოჯახის შესანახად საზღვარგარეთ სამუშაოს სამეზობლოდ გამგზავრება გადაწყვიტა. საქართველოდან წამოსვლის ძირითადი მიზეზი სამსახურის უქონლობა, ბანკის ვალები და უკეთესი მომავლის შექმნის სურვილი იყო.

კვლევაში მომნაწილეთა 90% უკვე 13-14 წელზე მეტია, რაც საქართველოდან წავიდა. პორტუგალიის SEF (Foreigners and Frontiers Services) მონაცემთა ბაზაში 2000 წელს მხოლოდ ორი ქართველია დაფიქსირებული, თუმცა ეს არ არის რეალური მონაცემი, რადგან მონაცემებში ასახულია მხოლოდ ოფიციალურად, სამსახურის მქონე, ლეგალურად გაფორმებულ ქართველები, რომლებიც უკვე ლეგალიზებულად ცხოვრობდნენ პორტუგალიაში. ხოლო დანარჩენები, ვინც ჯერ არ არიან ლეგალურად მცხოვრებნი, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, მათთვის ლეგალისაზიისთვის საჭირო დრო მინიმუმ 2-3 წელიწადია (Palilla2006), შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ ისინი უფრო ადრე ჩამოვიდნენ. ჩვენს კვლევაში მონაწილე

მამაკაცთა უმრავლესობა 2000 წელს არის ჩამოსული. ქართველ მიგრანტებს პორტუგალიაში სხვადასხვანაირი ისტორია აქვთ. კვლევის მონაწილეების უმრავლესობა ჩრდილოეთ პორტუგალიაში ცხოვრობს. ქართველი მიგრანტები ჩრდილოეთ პორტუგალიაში ძირითადად ოჯახებით არიან მიგრირებულები, ჯერ მამაკაცები წამოვიდნენ მიგრაციაში, მერე მეუღლეები ჩამოვიდნენ, შემდეგ - შვილები.

როგორც მათი ინტერვიუებიდან ვიგებთ, ჯერ მამაკაცები წამოვიდნენ ნაცნობებისა და მეგობრების რჩევითა და დახმარებით, რომლებიც უკვე იყვნენ საზღვარგარეთ. მაგალითის შესაბამისად სავიზო განაცხადი ძირითადად მანქანის ჩამოსაყვანად შეიტანეს. ეს საქართველოში ახლადფეხმოკიდებული ბიზნეს საქმიანობა იყო. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობით ინახავდნენ ოჯახებს.

ლოჯისტიკა. ჩვენი კვლევის მონაწილეებმა საშუაშალო ორგანიზაციის ან ამ საქმეში გამოცდილი და დახელოვნებული ადამიანის დახმარებით, სოლიდური თანხის გადახდის სანაცვლოდ შეავსეს სავიზო განაცხადი და მოახერხეს საქართველოდან გამგზავრება. კვლევაში მონაწილე, პორტუგალიაში ჩამოსული ქართველების სავიზო განაცხადის დანიშნულების ქვეყანა ძირითადად გერმანიაა. ამ ქვეყნიდან მანქანების ჩამოყვანა პოპულარული იყო იმ პერიოდის საქართველოში, ზოგჯერ დანიშნულების ქვეყნად ესპანეთი იყო მითითებული.

ფინანსები. მიგრანტები ვალად აღებული ფულით წამოვიდნენ სამსახურის საშოვნად. კვლევაში მონაწილე ქართველ მიგრანტებს იმ ადრე წასული ნაცნობებისა და მეგობრების იმედი ჰქონდათ, რომლებიც უკვე მუშაობდნენ საზღვარგარეთ. პორტუგალიაში მცხოვრები ქართველი მამაკაცების უმრავლესობა თავდაპირველად ესპანეთში ჩავიდა, სადაც ჰყავდათ მეგობრები, რომლებიც სამსახურს შეჰპირდნენ და მხოლოდ შემდეგ წამოვიდნენ პორტუგალიაში, სადაც ამ პერიოდში მუშა ხელი იყო საჭირო.

მოტივაცია. თითქმის ყველა მიგრანტი აღნიშნავს, რომ საქართველოდან გაუსაძლისი მდგომარეობის გამო წამოვიდა, ზოგიერთს ვალი ჰქონდა, უმუშევრობის გამო ოჯახს ვერ არჩენდა, ზოგიერთმა ვარდების რევოლუციის შემდეგ სამსახური და მომავლის იმედი დაკარგა, სწორედ ეს იყო საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მოტივაცია. უკეთესი მომავლის იმედით, რომ საზღვარგარეთ ნაშოვნ ფულით ვალებსაც გაისტუმრებდნენ და საზღვარგარეთ წამოსასვლელად ოჯახსაც ხელს გაუმართავდნენ. ზოგიერთმა მათგანმა სახლი დააგირავა, ზოგმა ვალი აიღო პროცენტით. რესპონდენტების 70 % აღნიშნავს, რომ ჩამოვიდა, რათა მერე უკან დაბრუნებულიყო, თუმცა ახლა სხვადასხვა მიზეზის გამო უკან დაბრუნებაზე ძალიან ცოტა ფიქრობს.

როგორც ერთი 53 წლის ქართველი მიგრანტი ამბობს, მას არჩევანი არ ჰქონდა. ის 2000 წელს ჩამოვიდა ესპანეთში 4 სხვა ქართველთან ერთად, ნაცნობები სამუშაოს მოძიებაში და საცხოვრებელით უნდა დახმარებოდნენ, მაგრამ ესპანეთში ყველას დასაქმება ვერ შეძლეს. მან პორტუგალიაში მყოფ სიძეს ჩამოაკითხა: “თავიდან 1 წელი იატაკზე მეძინა, რასაც ვმუშაობდი სახლში ვაგზავნიდი, მხოლოდ ჭამის ფულს ვიტოვებდი, ბევრი ვალი მქონდა და ასევე ორი ოჯახი მყავდა სარჩენი. 5 პროფესია გამოვიცვალე დღემდე, 17-18 საათი ვმუშაობდი, მოგეხესენებათ, პორტუგალია არ არის მდიდარი ქვეყანა. აქაურები სხვაგან მიდიან სამუშაოდ, რადგან მეტია ანაზღაურება.“

ხოლო მეორე 47 წლის ქართველი მიგრანტი, რომელიც ასევე 2000 წელს ჩამოვიდა, გვიზიარებს თავის გამოცდილებას: - წამოსვლამდე რამდენიმე ადამიანის ტელეფონის ნომერი ჰქონდა, 2 კვირიანი ვიზით ჩამოვიდა, თავიდანვე ვერსად იშოვა

სამუშაო. ვიზას ვადა რომ გაუვიდა, ის და მისი მეგობარი უკანასკნელი ფულით სოფელ-სოფელ დადიოდნენ სამუშაოს საძიებლად. სამუშაო იყო, მაგრამ მათ პასპორტს რომ უყურებდნენ დამსაქმებლები, სამსახურში აყვანას არ რისკავდნენ. ის იხსენებს დღეს, როცა უკანასკნელი კაპიკებით ისადილეს და ტრაქტორიან მინდორში მიადგნენ ახლაგაზრდა პორტუგალიელს, რომელსაც არავერბალურად გააგებინეს რისთვისაც იყვნენ მისულები. ის ყვება, თუ როგორ გაუმართლათ, როცა ამ ახალგაზრდა ბიჭმა გადაწყვიტა მათი აყვანა ვიზისა და ენის ცოდის გარეშე: - „ეტყობა ძალიან სჭირდებოდა მუშახელი, ჩახედა ჩვენს პასპორტს, შემოგვხედა და ისევ ჩაიხედა, გადარეკა და მეორე დღეს სამუშაო ხელშეკრულება გაგვიფორმა“.

მონაწილეებს შორის არის 61 წლის მიგრანტი მამაკაცი, რომელსაც ვიზა პერუში წასასავლელად ჰქონდა. როგორც ამბობს, იქ ჰყავდა ნაცნობი, რომელიც სამსახურს შეჰპირდა. გადაწყვეტილი ჰქონდა პერუში გამზავრება, მაგრამ ლისაბონში ჩამოფრენის შემდეგ ამხანაგებმა ბევრი მიზეზის გამო ურჩიეს აქ დარჩენილიყო, ჯერ ერთი, პორტუგალია უფრო ახლოს იყო საქართველოსთან და, მეორეც - აქ ბევრი სამუშაო ადგილი იყო. მშენებლობის ბუმი იყო მთელ პორტუგალიაში და მუშახელი აქაც სჭირდებოდათ. ის დარჩა და აგერ უკვე 15 წელია პორტუგალიაში მუშაობს და ცხოვრობს, ახლა საპენსიო ასაკს ელოდება, რომ მერე, როგორც ის ამბობს, საქართველოში ოჯახს „ევროპული პენსიით“ დაუბრუნდეს.

გენდერი და სოციალური ქსელები

კვლევამ აჩვენა გენდერული განსხვავებები სოციალურ ქსელებს შორისაც. როგორც სხვა მკვლევრების კვლევებში იყო ნაჩვენები ქალები და მამაკაცები მიგრაციის პორცესში სხვადასხვა ტიპის სოციალურ ქსელებს იყენებენ (Hagan 1998, Menjivar 1998, Curran and Rivero-Fuentes 2003, Hondagneu-Sotelo 1994, Assis 2002, Padilla 2004b).

კვლევაში მონაწილე ქართველი მიგრანტი მამაკაცებისთვის მიგრაციისთვის პირველადი სოციალური ქსელი იყო ნაცნობები და მეგობრები. ეს სოციალური ქსელი ძირითადად წარმოშობის ადგილის მიხედვით ჩამოსული ადამიანებისგან შედგებოდა, მაგალითად, ქუთაისელებმა ქუთაისელს შეუწყვეს ხელი, წნორელმა - წნორელს, ვანელმა - ვანელს და ასე შემდეგ.... მათი, როგორც პიონერების დამკვიდრების შემდეგ კი, ნათესაური კავშირის მეშვეობით წამოვიდნენ მათი ოჯახის სხვა წევრები: ძმები, სიძეები, მეუღლეები და შვილები.

ამ კვლევაში არ გვაქვს მონაცემები ქალების შესახებ, რომლებიც მარტო არიან პორტუგალიაში. ჩვენს კვლევაში მონაწილე თითქმის ყველ, რესპონდენტი ოჯახთან, მეუღლესთან და მინიმუმ ერთ შვილთან ერთად ცხოვრობს. არის შემთხვევები, როცა მეორე შვილი ან სწავლობს საქართველოში, ან საკუთარი ოჯახი აქვს და ასევე ცხოვრობს საქართველოში.

მიუხედავად ამისა, ამ საკითხში ისინი რომ მამაკაცებისგან განსხვავებულ რესურსებს იყენებენ, ნათლად ჩანს.

ქალების მხრიდან მიგრაციის გადაწყვეტილება ოჯახების გაერთიანების მიზნით არის გამოწვეული. კვლევის მონაწილეებს შორის არიან ისეთები, რომლებიც მალევე წამოვიდნენ მეუღლესთან და შვილებიც თან წამოიყვანეს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ქმრებთან მოგვიანებით, 5-6 წლის შემდეგ ჩამოვიდნენ. ნაწილმა შვილები „გამოზარდა“ და შემდეგ დატოვა ქვეყანა, ნაწილმა უკვე „გაზრდილი“ წამოიყვანა.

მამაკაცების შემდეგ მიგრაციისთვის წამოსული ქალების ფული

უკვე მიგრაციაში მყოფმა მამაკაცებმა გადაიხადეს. ქალთა მიგრაცია პორტუგალიაში სხვადასხვა ქვეყნის გავლით მოხერხდა, ზოგიერთი ბელორუსიის, ზოგი მოლდავეთის, ნაწილი ესპანეთის, საბერძნეთის, იტალიის გავლით ჩამოვიდა პორტუგალიაში.

მათ მგზავრობის უფლების მისაღებად სხვადასხვა ცნობა ჰქონდათ წარმოდგენილი. ზოგი როგორც სპორტსმენი, ზოგიც მუსიკოსი ან ხელოვანი მიემგზავრებოდა გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად:

„ვითომ ბალახის ჰოკეის მოთამაშე ვიყავი და ისე გამიკეთეს ვიზა“(28 წლის ქალი).

„მე მოცეკვავეების ჯგუფში ვეწერე და ისე ჩამოვედი“(30 წლის ქალი).

„ თითქოს ხელოვანი და საიუველირო ნაწარმის შემქმნელი ვიყავი და დიდ გამოფენაზე მივდიოდი ვენაში გასაუბრებაზე. ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც დამარიგეს, მაგრამ მოგზაურობა ძალიან გრძელი აღმოჩნდა. როცა არც ერთი ენა არ იცი, თბილისი-მინსკი, მინსკიდან ბალტიისპირეთში მატარებლით, იქედან პრადის გავლით ვენაში. ყველა ამ ქალაქში იყო ეს გამოფენა და მეც თან ვახლდი. შემდეგ იქიდან ლისაბონში გამოვფრინდი, მაგრამ ბოლომდე არ მჯეროდა, რომ ჩამოვიდოდი.“ - ამბობს 46 წლის ნინო. ნინოს ოჯახი საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონის ერთ-ერთი სოფლიდანაა. სკოლის დამთავრებისთანავე შექმნა ოჯახი და ახლა 2 ზრდასრული შვილი ჰყავს. მისი მეუღლე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც პორტუგალიაში სამუშაოდ ჩამოვიდა. თვითონ მალევე ვერ გამოყვა მეუღლეს, რადგან შვილები, როგორც თვითონ ამბობს, გასაზრდელი, სახლში კი მოხუცი დედამთილ-მამათლი ჰყავდა, რომლებიც სხვების მსგავსად ბავშვებს ვერ დაიტოვებდნენ. ნინოს პორტუგალიაში გამგზავრება ოჯახური სოციალური ქსელის მეშვეობით მოხდა, მეუღლემ, რომელიც უკვე დიდი ხნის წინ წავიდა პორტუგალიაში, დააფინანსა მისი გამგზავრება. რამდენიმე წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც უფროსმა შვილმა სკოლა დაამთავრა და საკუთარი ოჯახი შექმნა და მოხუცი მშობლები უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ, პორტუგალიაში მეორე შვილთან ერთად წამოვიდა. აქ ის მეუღლის ადგილობრივი ამხანაგების დახმარებით მოეწყო სამსახურში. შრომისმოყვარეობისა და საქმის მიმართ ერთგულების გამო დააწინაურეს საამქროს დამლაგებლიდან ცვლის მუშამდე. როცა ნინო სოფელში ცხოვრობდა, არც მისი შრომა ჩანდა სადმე და არც მისი შემოსავალი. ახლა მას თავისი ხელფასი აქვს და ოჯახის ფინანსური კეთილდღეობის შემქმნელიც არის. შეუძლია შვილის ოჯახსაც დაეხმაროს საქართველოში. ახლა იმაზე ფიქრობს ორივე, რომ ცოლ-ქმრის შრომით აქ, პორტუგალიაში, დამკვიდრდეს და იყიდოს საცხოვრებელი. ამბობს, რომ ჯერ არ იცის წავა საქართველოში თუ დარჩება - ეს შვილებზეა დამოკიდებული, მაგრამ იქ, სოფელში, დიასახლისად ცხოვრებას, აქ ამ შორეულ ქვეყანაში საკუთარი ნაშრომის ანაზღაურებით და ამით ოჯახის ცხოვრებაში წვლილის შეტანით, ძალიან ამაყია.

კვლევის მონაწილეებს შორის არის ნათია, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ სამსახურის დაკარგვის გამო ემიგრაციაში წამოვიდა. თავიდან ესპანეთში მუშაობდა ბავშვების მომვლად, როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, პორტუგალია იყო ის ქვეყანა, სადაც სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ადვილად შეიძლებოდა **საცხოვრებელი ნებართვის** აღება, ხოლო ამ საბუთის მიღების შემდეგ ევროკავშირის ყველა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაც უფრო ადვილია.

ნათია მეგობრული სოციალური ქსელის საშუალებით ჩამოვიდა პორტუგალიაში, მეგობრების მეგობრებთან, რათა მისი არალეგალური ცხოვრება ესპანეთში ლეგალური გამხდარიყო. საბუთების მოგვარების პროცესში დაოჯახდა,

საბუთების მოწესრიგებაში ვინც დაეხმარა, იმას გაჰყვა ცოლად და დარჩა საცხოვრებლად პორტუგალიაში. ახლა მას 2 შვილი ჰყავს და უკვე პორტუგალიის მოაქალაქეა. საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებს. მეუღლის ოჯახი აქ ცხოვრობს. ისიც და მისი მეუღლეც მიიჩნევენ, რომ ის, რაც მათ შეუძლიათ მისცენ შვილებს ამ ქვეყანაში, მათთვის საქართველოში მიუწვდომელი იქნება.

კვლევის პროცესში არ მოგვეცა საშუალება შევხვედროდით ქალებს, რომლებსაც ოჯახები საქართველოში ჰყავთ, პორტუგალიაში ოჯახების გარეშე ცხოვრობენ და აქედან ინახავენ ოჯახს. ამიტომაც ვერ შევძელით ორი ტიპის მიგრანტი ქალების ერთმანეთთან შედარება. თუმცა, სოციალური ქსელების შესახებ არსებული კვლევების მსგავსად, კვლევაში მონაწილეებიც ადასტურებენ, რომ გენდერული განსხვავება სოციალური ქსელებით მიგრაციის პროცესში აშკარაა. ჩვენს კვლევაში მონაწილე ქალები უკვე აქ ნათესავების, ოჯახის წევრების მიერ გაკვალებულ გზაზე ჩამოვიდნენ.

ეთნიკური სოციალური ქსელები

როგორც უკვე აღინიშნა, პორტუგალიაში ემიგრანტი ქართველების რაოდენობა არც ისე დიდია და ისინი თითქმის შეუმჩნეველნი არიან. ეს არ არის ესპანეთი, სადაც, როგორც კვლევაში მონაწილეები ამბობენ, საქართველოს კრიმინალური ისტორიის მქონე ადამიანებით იცნობენ. პორტუგალიაში, კვლევის მონაწილეების თქმით, მათ ჩვეულებრივ რუსებად აღიქვამდნენ, რადგანაც მათთვის ისევე, როგორც ბევრისთვის, ევროპასა და ამერიკაში საბჭოთა კავშირი და რუსეთი ერთი და იგივეა.

„იმ პერიოდში ჩვენ რუსებს გვეძახდნენ, დღესაც ჩვენ და უკრაინელებს გვეძახიან რუსებს, თუ ადამიანი განათლებული არ არის, ის დღესაც რუსს მეძახის, მე კი ვუხსნი, რომ მე ისეთივე რუსი ვარ, როგორც თქვენ ჩინელი-მეთქი“ (53 წლის მამკაცი)

უკრაინელი მიგრანტების ძალიან დიდი ჯგუფია თავმოყრილი პორტუგალიაში, ისინი ბრაზილიელების შემდეგ უცხოელების მეორე ყველაზე დიდი ჯგუფია. ადგილობრივების დიდი ნაწილისთვის რთულია ერთმანეთისგან განასხვავოს პოსტსაბჭოთა სივრციდან ჩამოსული ადამიანი. თავიდან ახლად ჩამოსული ქართველი მიგრანტების კომუნიკაცია მეტი იყო პოსტსაბჭოთა რეპუბლიკებიდან ჩამოსულ ადამიანებთან მიმართებაში, ისინი სოციალური ქსელის ნაწილს წამოადგენენ. ენის ცოდნამ და 70 წლიანმა საერთო ისტორიამ დაახლოვა ადამიანები. დასაწყისში კომუნიკაციის დასამყარებლად ადვილი იყო მათთან ურთიერთობა, მათი კონტაქტები დღესაც გრძელდება.

რაც შეეხება ქართველებს, რა ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან ახლომახლო მცხოვრებ ქართველებს?

კვლევის მონაწილეებისთვის ამ კითხვაზე პასუხი არ იყო ადვილი. მათთვის უხერხულობას ქმნიდა ამ თემაზე საუბარი და ცდილობდნენ თავი აერიდებინათ კითხვისათვის. პასუხებს გაურბოდნენ და მთავაზობდნენ მხოლოდ საკუთარ ოჯახსა და ოჯახის წევრებზე გვესაუბრა. მიხსნიდნენ, რომ ყველა ქართველი აქაც ისეთივე პრინციპებით ცხოვრობს, როგორც თავის ქვეყანაში. ყველაფერი ოჯახზეა დამოკიდებული და ასევე იმ ადგილზე, საიდანაც არის ეს ადამიანი, სოფლიდან თუ ქალაქიდან, აღმოსავლეთ საქართველოდან თუ დასავლეთიდან. ზოგიერთი მათგანი თვლის: *– „ზოგიერთს თბილისიც (საქართველოს დედაქალაქი) კი არ უნახავს, ისე ჩამოვიდა ევროპაში და ახლა არ იცის, რა აკეთოს და თავში აუვარდა აქ*

ყოფნა“ (ქალი 57 წლის).

ნაწილი მიგრანტებისა ცდილობს დადებითად დაახასიათოს სხვები, ხოლო მეორე ნაწილი თავშეკავებულად ცდილობს სიტუაციის ახსნას.

„ ქართველების უმრავლესობამ ემიგრაციაში ჩამოიხსნა ნიღაბი, ზოგიერთები ისე იქცევიან, შერცხვება კიდევ, მაგრამ ჩემ ირგვლივ ასეთები არ არიან. ჩემი შვილის მეგობრებიც ნორმალური ხალხია, მაგრამ ხომ ვუყურებ, რა ხდება ირგვლივ?!“ (57 ქალი წლის).

შიდა ჯგუფური კონფლიქტებიც შეინიშნება, რომლებიც კარგად ინიღბება, თუმცა ეს კომუნიკაციის სიმცირეში გამოიხატება.

“აქ ჩამოსული ქართველები უფრო შურიანები არიან, ვიდრე ამას საქართველოში იგრძნობ. ვერ იტანენ, თუ წარმატებული ხარ. შენ თუ გამოგივიდა, მე რატომ არ გამომივიდა?! მე თუ რამე გავაკეთე, ესე იგი „გამიმართლა“ ჩემი შრომისა და გამოცდილების დამსახურება კი არ არის?!“ (აღნიშნავს 40 წლი მამაკაცი).

არის მეორე ნაწილი, რომელიც ცდილობს კარგად წარმოაჩინოს სხვა ქართველი და თავისი თავიც, ის თავის ოჯახსა და ახლობლებზეც არ საუბრობს, მთავაზობს სხვებს ვკითხო მათ შესახებ:

„ქართველები ძველებურად ვართ, აქ, ისევე როგორც საქართველოში, ახლომახლო ყველა ერთმანეთს ვხვდებით. მამაჩემის დამკვიდრებული ტრადიცია იყო, ყოველთვის აქ ვიკრიბებოდით ხოლმე, ახლომახლო ვინც ვართ, ყველანი თითქმის ნათესავები გავხდით, ზოგი ნათლია- მირონებიც კი, ჩვენი ოჯახი სტუმართმოყვარეა და ასე გამოდის“ (მამაკაცი 35 წლის).

უნდა ითქვას, რომ ქართველები შორიშორს ცხოვრობენ ერთმანეთთან. საქართველოს საკონსულოს მონაცემებით, ყველაზე მეტი ქართველი მიგრანტი პატარა ქალაქ კარიგადოში ცხოვრობს. ქალაქი ლისაბონთან ახლოსაა, იქ ახლაც შენარჩუნებულია ნაწილი ფაბრიკა- ქარხნებისა, რომლებიც სხვა მხარეში კრიზისის დროს დაიხურა, იქ შემორჩნენ ქართველები, რომლებიც დასაქმებულები არიან და ცხოვრობენ თავიანთ ოჯახებთან ერთად.

ჩრდილოეთში უფრო ცოტანი არიან და, ჩემი დაკვირვებით, შემძლია ვთქვა, რომ კონტაქტობენ ერთმანეთთან მხოლოდ ოჯახური ან ნათესაობრივი კავშირების შემთხვევაში. კერძოდ, ისინი, ვინც ერთი ოჯახის წევრია, და ან ძმია, ან აქ ცხოვრების შემდეგ დანათესავდნენ ოჯახებთან - როგორც თვითონ მიხსნიან ნათელმირონის სახით.

უცხოები ქართველთან ურთიერთობას გაურბიან და ცდილობენ თავიდან აიცილონ კომუნიკაცია. მე ეს ჩემს თავზეც გამოვცადე, კონკრეტულ პიროვნებებთან კონტაქტის დასამყარებლად ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა. პირდაპირ მიმართვამ არ გაამართლა, მხოლოდ სხვების დახმარებით შევძელი მათთან კომუნიკაცია.

ეთნიკური და სოციალური სოლიდარულობა

კვლევაში მონაწილეების ინტერვიუების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პორტუგალიაში არ არის სოციალური ქსელების ეთნიკური შეჭიდულობა, ეგრეთ წოდებული ეთნიკური ანკლავები, სადაც დიდი ადამიანური და ფინანსური კაპიტალის მქონე იმიგრანტები ხსნიან ბიზნესებს, ასაქმებენ დაბალი კვალიფიკაციის თანამოქალაქეებს და სარგებლობენ მათი მომსახურებით. შესაძლებელია იმიტომ, რომ ჩვენს კვლევაში მონაწილეები არ არიან წარმატებული ბიზნესის მქონენი. ქართველი

წარმატებული ბიზნესმენი ძალიან ცოტაა და ისიც ნაკლებად იყენებს ქართველებს ბიზნესში, რაც შეეხება სამსახურის შოვნაში დახმარებას, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ნათესავი ან მეგობარია. ქართველი მიგრანტები ძალიან ერიდებიან უცნობ ქართველებთან ურთიერთობას. თუმცა კვლევის მონაწილეები ამბობენ, რომ ქართველები ერთმანეთს ეხმარებიან სამსახურისა და საცხოვრებლის შოვნაში, განსაკუთრებით ადრე ჩამოსული ადამიანები, მაგრამ შემდეგ უკმაყოფილებას გამოხატავენ მათ მიმართ, ვისაც ხელი გაუმართეს და დაეხმარნენ.

ჯგუფური შეჭიდულობის კიდევ ერთი მაგალითია ე. წ ნაცვალგების (reciprocity transactions) ოპერაციები, რომლებიც ცნობილია სხვადასხვა ქვეყანაში. ასეთია სამუშაო გაყიდვის პრაქტიკა (Martes 2000; ამოღებულია Padilla 2006 დან), რომელიც გავრცელებული პრაქტიკაა სხვადასხვა საზოგადოებაში. ასე მაგალითად, არსებობს გარკვეული მოლოდინი არსებული მონაცემების მიწოდების, სამუშაო ადგილების, კონტაქტების შესახებ ინფორმაციის გაყიდვის. მას შემდეგ, რაც ისინი "დახმარებას" იღებენ, გრძნობენ ანგარიშსწორების ვალდებულებას და ცდილობენ მიიღონ მსგავსი არაფორმალური სარგებელი. შესაბამისად, ჩნდება რეციპროკულობის ან როგორც მეცნიერები ეძახიან "ნაცვალგების ოპერაციები", რომელიც ვრცელდება ურთიერთობებზე და ქმნის ვალდებულებას, რათა მომავალში, ჯგუფის წევრებს შორის სამსახურში მოწყობის სტრუქტურა ჩამოყალიბდეს (Pigg დაCrank 2004), როდესაც ასეთ ფენომენტთან გვაქვს საქმე, ყოველთვის არ არის ეს უკუგებითი, შესაძლებელია ეს, როგორც მეგობრობის დემონსტრირება ისე აღიქმებოდეს. ასეთი პრაქტიკა, როგორც ჩვენს კვლევაში მონაწილეების მონათხრობიდან ჩანს, არ არის მიღებული პორტუგალიაში მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს შორის.

სოციალური ქსელები და მიმღები საზოგადოება

კვლევაში მონაწილეები მიმღებ საზოგადოებას სხვადასხვანაირად აფასებენ. პადილა(2006) აღანიშნავს, რომ მიგრაციის პროცესში პიროვნული და ქსელური რესურსები სოციალურ კაპიტალთან ერთად მიმღებ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიმღები საზოგადოების ზოგადი თავისებურებები. მაგალითად, როგორია შრომითი ბაზარი, როგორ გავლენას ახდენს ის სოციალური ქსელების მუშობაზე, ეს გავლენა შესაძლებელია გენდერულად იყოს განსხვავებული, რომლის მიხედვითაც ქალებისა და მამაკაცების რეკრუტირება (Hagan 1998) სხვადასხვანაირია, სოციალური ქსელების ჩამოყალიბებისთვის ასევე მნიშვნელოვანია მიმღებ საზოგადოებას, რა ტიპის სამუშაო ადგილები აქვს.

ადრე ჩამოსული ქართველი მიგრანტებისთვის ადგილობრივები განსხვავებულად აღიქმებიან, ვიდრე შემდეგ მოგვიანებით ჩამოსული ადამიანებისთვის:

„ძალიან დადებითი ხალხია, ახალჩამოსულმა ენა არ ვიცოდი, ეს ხალხი გახნილად დამხვდა, მათგან სიტბო მახსენდება, ახალ ჩამოსული, რომ ვიყავი და ფული არ მქონდა, მაღაზიაში „ნისიად“ მაძალევდნენ, ამან გამაკვირვა, უცხო ვიყავი, ხომ შეიძლებოდა წავსულიყავი და არ გადამეხადა, მერე ბინაც მომცა უფროსმა და კარგა ხანი ვცხოვრობდი ასე, მერე უკრაინელები ჩამოვიდნენ, ბევრი ხალხი გამოჩნდა და სწორედ ამან გააფუჭა ეს სიტუაცია, მოპარვა და არაპატიოსანი მოქცევა დაიწყო.“ - ამბობს 53 წლის მამაკაცი.

„რომ ჩამოვედი არაფერი არ ვიცოდი ... ვიცოდი ის, რომ რასაც მეტყობდნენ, ის უნდა გამეკეთებინა და პატიოსნად შემუშავა. აქაურებმა მიმიღეს, ოთახი მომცეს, ახლაც მათი ნაჩუქრი მაცივარი მაქვს და იმითი ვცხოვრობ, დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს იმ უფროსთან, რომელთანაც ჩამოვედი; წნევა, რომ მაქვს საკმარისია მის მეუღლესთან დავრეკო, აქ გაჩნდებიან ჩემთან.“ - 61 წლის მამაკაცი.

რაც შეეხება დღევანდელ კავშირებს:- კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ პორტუგალიელებს სხვანაირი ურთიერთობები აქვთ და ის ძალიან განსხვავდება ქართულისგან. კავშირი და კომუნიკაციაც ამაზე დამოკიდებული, ვინ როგორ მიგიღებს და მოგეცევა. მეგობრობა აქ სხვანაირად იცინა. შენ მეგობარი ხარ მანამ, სანამ მასთან ერთად მუშაობ, მერე თუ გადახვედი სადმე სხვაგან სამუშაოდ - „თვალი თვალს მოშორდება და გული გადასხვაფერდებაო ხომ გაგიგონიათ?“

“ქუჩაში რომ შეგხვდება თბილად მოგიკითხავს, მაგრამ მეტი არაფერი, ხოლო სანამ მუშაობთ ერთად შეიძლება კაფეში ან ბარში მიგიპატიჟოს, მაგრამ შენ შენი ხარჯებით, ჩვენსავით არ იცინა - “გადახდილია, მე ვიხდი ყველაფერს“- ამბობს 53 წლის მამაკაცი.

როგორც კვლევაში მონაწილეები ამბობენ, პორტუგალიელები სახლში იშვიათად გეპატიჟებიან, შესაძლებელია კაფეში დაგპატიჟონ დაბადების დღეზე, ან ლუდის დასალევად შემოგვიერთდით გითხრან, ისიც იშვიათად და საკუთარი ხარჯებით.

კვლევის თითქმის ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ, რადგანაც ადგილობრივები არ ცდილობენ მათთან დაახლოებას, ისინიც შესაბამისად იქცევიან. იშვიათი გამონაკლისის ორი შემთხვევის გარდა. ქართველი მიგრანტები უბრალოდ ასახელებენ, რომ ჰყავთ პორტუგალიელი ნაცნობები, მაგრამ აქ მცხოვრებ სხვა ემიგრანტებთან უკეთესი კავშირები აქვთ.

„ბრაზილელი გოგონები არიან, რომლებთანაც ვმეგობრობ, როცა რამე გამიჭირდება სამსახურში, ისინი მეხმარებიან, პორტუგალიელები არა, იმათ ზევიდან ყურება უყვართ“. - 46 წლის ნინო.

„ერთ ოჯახია, იურისტების, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს, თავიდან ბრაზილელებთან ერთად გავიცანი კაფეში, შემდეგ დაგვჭირდა მათი დახმარება და მას მერე დავახლოვდით“. - 47 წლის მამაკაცი.

ქართველი მიგრანტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პორტუგალიელები არ არიან ღია და გახსნილები, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

„ისინი ჯერ ვერ გამოსულან ძველი დროიდან და ისევ არისტოკრატად და ჩვეულებრივ ადამიანებად ყოფენ ერთმანეთს და ჩვენ ვინ ვართ“. - 35 წლის ქალი.

მიგრანტების ადგილობრივებთან დამოკიდებულების შეფასება არაერთგვაროვანია, მაგრამ ისინი მაინც ცდილობენ თავშეკავებულად შეაფასონ მასპინძელი საზოგადოება. მცირე ნაწილი აღნიშნავს მსგავს პრობლემებს, უმრავლესობა ამას ხაზს არ უსვამს ინტერვიუს დროს, მაგრამ არაფორმალური ურთიერთობებისას, სხვადასხვა თემაზე საუბრის დროს, შიგადაშიგ ახსენებენ ხოლმე ადგილობრივ მაცხოვრებლებს, აღნიშნავენ, რომ მათ არცთუ ისე კარგი დამოკიდებულება აქვთ მიგრანტების მიმართ.

„ადრე ასე არ იყო, ახლა აივსო აქაურობა სხვადასხვა ჯურის ხალხით და მათი დამოკიდებულებაც შეიცვალა.“ - 53 წლის მამაკაცი.

სოციალური ქსელების თვალსაზრისით მაინც შესაძლებელია იმის

აღნიშვნა, რომ სამსახურის შოვნის დროს ადგილობრივი დამსაქმებელი ენდობა თავის დასაქმებულს და ხშირად მას სთხოვს მისი მსგავსი შრომისმოყვარე ადამიანი მოიყვანოს სამსახურში. „როდესაც გედნობიან შემდეგ გთხოვენ სხვაც მიიყვანო და ასე რამდენი ადამიანი დამისაქმებია.“ - ამბობს 53 წლის მამაკაცი.

„შენნაირი კიდევ არ არის თქვენს შორის მეუბნება ჩემი უფროსი.“ - ნინო 46 წლის.

დასკვნა:

კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი მიგრანტებისთვის მნიშველოვანია წარმოშობის (ეთნიკური) ქსელი, როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყნიდან. ეს ქსელი არის ყველაზე მნიშველოვანი და ღირებული მიგრანტების მხარდაჭერის თვალსაზრისით და განსკუთრებით ღირებულია ახლადჩამოსულებისთვის. ქართველი მიგრანტების შემთხვევაში ძირითადად ერთმანეთთან კავშირი აქვთ წარმოშობის ადგილისა და, უფრო ზუსტად კი, საქართველოს მხარეების მიხედვით. ასევე აქ კარგად მუშაობს ნათესაური და მეგობრული ქსელი. ქსელის წევრები ნაკლებად არიან სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

სოციალური ქსელები განსხვავებულია ქალებთან და მამაკაცებთან, როგორც ამ კვლევიდან ირკვევა, ქალები უფრო ნათესაურ ქსელებს იყენებენ, ხოლო მამაკაცები უფრო მეგობრულს. ჩემი აზრით, პორტუგალიის შემთხვევა განსხვავებულია, სხვა ქართველი ქალების მიგრაციისაგან იტალიასა თუ საბერძნეთში, აქ ქალები მხოლოდ მამაკაცების, მეუღლეების მიგრაციის შემდეგ წამოვიდნენ. მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაც სწორედ ასე იყოფა, სოციალური ქსელები მსგავსია, როდესაც მიგრაციის პროცესში სხვა ასპექტები ირთვება, მაგალითად, სამსახურის და საცხოვრებლის შოვნის დროს, ამ შემთხვევაში ნათესაური და მეგობრული ქსელი ერთნაირად მუშაობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამოსვლისას ქალები ძირითადად მოწყვებიან მამაკაცებს, ჩვენს შემთხვევაში მეუღლეებს, მაგრამ უკვე ადგილზე მათი როლი ღირებული და მნიშველოვანი ხდება. ისინი ბევრად დამოუკიდებლები და თავისუფლები არიან იმ შემთხვევაში, თუ აქვთ საკუთარი შემოსავალი და მათი როლი დიდია სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ისეთი გადაწყვეტილების მიღების დროსაც კი, როგორცაა დარჩენ თუ დაბრუნდნენ სამშობლოში. პორტუგალიის შრომითი ბაზარი სეგრეგირებულია ქალური და მამაკაცური საქმიანობით.

სოლიდარობა ძალიან მნიშველოვანია, რადგანაც არ არსებობს ქართველ მიგრანტების “ანკლავური ეკონომიკა”, შესაბამისად, ეთნიკურ სოლიდარობას ხაზს უსვამენ ქართველი მიგრანტები, რადგანაც ამაზე დამოკიდებული სამსახურის შოვნა, როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის. ეს პროცესი მიმდინარეობს მეგობრებისა და ახლობლების მონაწილეობით, მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები პორტუგალიაში ძალიან ფრთხილები არიან სხვა, უცნობი ქართველების მიმართ, თუმცა სოლიდარობის არ არსებობაზე საერთოდ ვერ ვილაპარაკებთ. რაც შეეხება სოციალურ ქსელების რეციპროკულობას, ამ შემთხვევაში არიან ოჯახის წევრები და მეგობრები, წარმოშობის ან დანიშნულების ქვეყანაში. რეციპროკულობით დაკავშირება უფრო დიდია ოჯახის წევრებს შორის დანიშნულების ქვეყანაში, ანუ ადამიანები, რომლებიც უკვე ცხოვრობენ პორტუგალიაში ერთმანეთს უფრო ეხმარებიან, ვიდრე სხვებს.

და, ბოლოს, მიმღები საზოგადოების მხრიდან, როგორც კვლევიდან ჩანს,

სოციალურ ქსელებზე და სოციალურ კაპიტალზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან მნიშვნელოვანი კავშირი ადგილობრივ საზოგადოებასთან არ არსებობს, მიმღებ საზოგადოებას როგორც პადილა (2006) აღნიშნავს, აქვს სამუშაო ბაზარი, სეგრეგირებული სხვადასხვა ასპექტებით, კულტურა, ისტორია როგორც წარმოსახვით საზოგადოებას (Imagined Community), სხვა დანარჩენი ელემენტებისგან შემდგარი, მაგრამ ეს საზოგადოება ქართველი მიგრანტების სოციალურ ქსელში ძალიან მწირედ მონაწილეობს.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Massey, D., Arango, A., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A. and Taylor, J.E. (1998), *Worlds in motion: understanding international migration at the end of the millennium*. Oxford: Clarendon Press.
2. Massey, D. S., Arango, J., Graeme, H., Kouaouci, A., Pellegrino, A. and Taylor, J. E. (1993). *Theories of international migration: a review and appraisal*. *Population and Development Review*, 19(3), 431-466.
3. Gurak, D. T. and F. Caces (1992). *Migration networks and the shaping of migration systems*. In M.M. Kritz (Ed) *International Migrations Systems: A Global Approach*. (pp. 150- 176). Oxford: Clarendon Press.
4. Fawcett, J. T. (1989). *Networks, linkages, and migration Systems*. *International Migration Review*, 23(3), 671-680.
5. Tsuda, T. (1999). *The permanence of ‘temporary’ migration: the ‘structural embeddedness’ of Japanese-Brazilian immigrant workers in Japan*. *Journal of Asian Studies*, 58(3), 687-722.
6. Pellegrino, A. (2004). *Migration from Latin America to Europe: Trends and policy challenges*. Geneva: IOM Research Series No. 16.
7. Padilla B. (2006). *Brazilian Migration to Portugal: Social Networks and Ethnic Solidarity*. CIES e-WORKING PAPER N° 12/2006.
8. Margolis, M. (M)1995. “*Transnationalism and Popular Cultura: The Case of Brazilian Immigrants in the United Status*”. *Journal of Popular Culture*. Vol. 29, pp. 29-41.
9. Menjivar, C. (1997). “*Immigrant Kinship Newtworks: Vietnamese, Salvadoreans and Mexicans in comparative perspective*.” *Journal of Comparative Family Studies*, Vol. 28, No 1.
10. Hagan, J. (1998). “*Social Networks, Gender and Immigrant Incorporation: Resources and Constraints*.” *American Sociological Review*, Vol. 63, No 1, pp. 55- 67.
11. Harwick, S. (2003). “*Migration, Embedded Networks and Social Capital: Towards Theorising North American Ethnic Geography*.” *International Journal of Population Geography*, Vol. 9, pp. 163-179.
12. Padilla, B. (2004 (b)). *Redes sociales de los Brasileiros recién llegados a Portugal: ¿solidariedad étnica o empatía étnica?* Delivered at the International Conference on Latinos al descubrimiento de Europe: uevas emigraciones y espacios para la ciudadanía, Genova, 17-18 June.
13. Padilla, B. (2005 (b)). “*Migration and Change: The Case of Brazilians in Portugal*”, presented at the VI Anthropology Meeting of Mercosur, Montevideo, Uruguay, November.
14. Peixoto, J. (2002). “*Strong markets, weak states: the case of recent foreign immigration in Portugal*.” *Journal of Ethnic and Migration Studies*, Vol. 28 No 3, pp. 483-497.
15. Harwick, S. (2003). “*Migration, Embedded Networks and Social Capital: Towards Theorising North American Ethnic Geography*.” *International Journal of Population Geography*, Vol. 9, pp. 163-179.
16. Curran, S.; and Abigail S. (2001). “*Migration and Cultural Change: A Role for Gender and Social Networks?*” *Journal for International Women’s Studies*. 2(3):54-77.

17. Putnam, R.D. (1995) 'Tuning In, Tuning Out: The Strange Disappearance of Social
18. Capital in America.' In *Political Science and Politics*, edited by Robert J-P. Hauck, 664-683. American Political Science Association, 1995.
19. Baker, C. (2009). 'Social, Religious and Spiritual Capitals: A Psychological Perspective' in *International Handbook of Education for Spirituality, Care and Wellbeing*, edited by Marian de Souza, Leslie J. Francis, James O'Higgins-Norman, Daniel Scott, 169-187. London and New York: Springer, 2009.
20. Håkansson, P. (2009) *The Need for a Micro Model of Social Capital*. Working paper presented at Brown Bag Seminar, Lund University, 2009.
http://www.ed.lu.se/papers/P_H%C3%A5kansson_micro%20model%20of%20social%20capital_maj.pdf
21. SEF (Foreigners and Frontiers Services) <http://sefstat.sef.pt/relatorios.aspx>
22. Padilla, B.(2006)Brazilian Migration to Portugal: Social Networks and Ethnic Solidarity. CIES e-WORKING PAPER N° 12/2006 <http://www.cies.iscte.pt/documents/CIES-WP12.pdf>
23. Curran, S.; and Rivero-Fuentes.E.(2003). Engendering Migrant Networks: The Case of Mexican Migration. *Demography*, Vol. 40 No 2, 289-307.
24. Hondagneu-Sotelo, P. (1994). "Regulating the Unregulated? Domestic Workers' Social Networks." *Social Problems* 41, pp. 60-64.
25. Assis, G; de Oliveira. (2002). "Estar aqui... Estar lá.... Uma cartografia da emigração valadarensense para os Estados Unidos." *Textos EPO* 41.
26. Pigg, K., & Crank, L. (2004, October 1). Building Community Social Capital: The Potential and Promise of Information and Communications Technologies. *The Journal of Community Informatics*, (Online) 1(1). Available: <http://www.cijournal.net/viewarticle.php?id=15>.

სტატიაში გამოყენებულია 2 ცხრილი.

Article received 2017-07-04